

1937/2

Յօմերո

ՅԱՀԱՆԱԿԱՆ
ՑՈՂՑՈՒԹՅՈՒՆ



პიონერი

გვლიცაძი მეთოხევის

საქ. ალექ ცენტრალური კომიტეტისა და საქ.
საქ. განსახლობის ერთოვზური უფროსობისათვის

03 ლის 1937 წ.

№ 7

ხაქ. ჭ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომც.—„ქომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34. ტელ.—3—02—61

ვანახსა

ვიოლინი ჩალანდაძე—საბჭოთა შევარღნებს (ლექსი)	83.
პ. ჩეხოვი—ჩენი გადაფრენის ისტორია (ნარკვევი)	2
შალვა იოსელიანი—გულხანუმის ბარათები (მოთხოვბა)	8
ვესტორ მანიძე—ეკატერინე გაბაშვილს (ლექსი)	11
ალექსანდრე სულავა—ლადო კეცხველი (წერილი)	12
შჩედრინი—ფხიჩელი ოვალი (ზღაპარი)	15
რ. ქორჩია—სხარტული სიტყვები (გარეკნის III გვ.)	
სამხედრო თაშაფობანი (გარეკნის მე-III და IV-გვ.)	



გიორგი პატარეაძე

საბჭოო შეკარისნებელი

გაფრენილებს ჩრდილოეთით
ნუგეშად და ლხენად,
თქვენ მიგქონდათ გამარჯვების
სტალინური რწმენა.

თქვენ გაჰქვეთეთ თოვლნარევი
პოლარული მტვერი,
და მიწის ბურთს გადუქროლეთ
ყიჯინით და მღერით.

თქვენ გახსენით გაუვალი
ნისლიანი გზები
და ოცნება აასრულეთ
ასეული წლების.

დღეს ეთერის ტალღებს მიაქვს
მისი ქება ირგვლივ,
ვინც მომავალს გადუშალა
იმედების წიგნი.

კვლავ მოგვასმენს ახალ-ახალ
გამარჯვების ძახილს,
მის ქვეყანას მრავლადა ჰყავს
სასახელო ხალხი.

ზოგი ცეხებს დასტრიალებს,
ზოგი მინდვრად შრომობს,
შენ თუ მალლა შევარდენობ,
იგი დაბლა ლომობს.

თქვენ თუ ცაში დაგვანახეთ
ვაჟა-ცური გარჯა,
ჩვენს ქვეყანას დაბლა ამკობს
სტახანოვის მაჯა.

2021



3. ჩვალვი

საბჭოთა კავშირის გამირი




ჩვალვი გადაფრინავის ისტორია

ეს მოხდა მიმდინარე წლის ივნისის 20-ს. შემდეგ აეროდრომიდან, მოსკოვის ახლოს, საბჭოთა შევარდენი „ანტ 25“ მოსწყდა მიწას და ლურჯ, ფირუზისან ცაში ასრიალდა. თვითმფრინავის ეკავა სამი მმმაცი, სახელოვანი ადამიანისაგან შედებოდა. ესენი იყვნენ ჩქალოვი, ბაილუპოვი და ბელიაპოვი. მათ უმაგალითო, ჯერ ფრთხებშეუსტმელი მრავალსაუკუნებრივი ოცნება უნდა განეხორციელებინათ: გაუკანათ საშერო გზა არ დიდ სახელმწიფოს შორის, წარმატებით დაგვირგვინებინათ დიდი ხნის განზრახვა — ძირდაუშვებელი გადაფრენა მარშრუტით: მოსკოვი — ჩრდილოეთი პოლუსი — ჩრდილო ამერიკა.

და ეს გმირული გადაფრენა სანაქებოდ დაგვირგვინდა. ოცნება განხორციელებულ იქნა. ჩალოვმა, ბაილუკოვმა და ბელიაკოვმა პირველებმა ვაჟა-ცურად ვადალახეს ცენტრალური არქტიკის ნისლები და ციკლონები, უნაპირო ყინულოვანი უდაბნები, შორეული კანალის მთის ქედები და ჩვენი ბეღძნერი ქვეყნის სადიდებლად კიდევ ერთი ახალი ფურცელი მიუმატეს გმირულ მოქმედებათა მატიანებ.

ქვემოთ ჩვენ ვძებლავთ საბჭოთა კავშირის გმირის ჩალოვის წერილს „ჩვენი გადაფრენის ის თორია“.

რედარცია



ევრი, ბეერი წლის წინათ დამებადა შორეული ძირდაუშვებელი გადაფრენის მოწყობის აზრი. ამ წლების განმავლობაში არა ერთხელ ჩამჯდარვარ

ტრასების ვარიანტების დასამუშავებლად.

შორეული გადაფრენის განხორციელება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ ჩვენი ივამრეწველობა, ჩვენი კონსტრუქტორები შეიმუშავებენ შორეული ფრენის თვითმფრინავის უნაკლო ტიპს. ასეთი თვითმფრინავი გამოდგა „ანტ-25“. უკვე მისი პირველი გაფრენები ლაპარაკობდა, რომ სწორედ ამ მანქანით შეიძლებოდა უფრო შორს ფრენა, ვიდრე საზღვარგარეთ დატრინავენენ აქამდის. ეს რწმენა განმიმტკიცდა საბჭოთა კავშირის გმირის მ. მ. გრომოვის ს ბრწყინვალე რეისის შემდეგ, რომელიც მან ფილინთან და სპირინთან ერთად განახორციელა.

ჩვენ სამნი — ბაილუკოვი, ბელიაკოვი და მე — მრავალი თვის განმავლობაში ესწავლობდით ამ შესანიშნავ წითელფრთხებიან თვითმფრინავებს. ჯერ კიდევ მიღებული არ გვქონდა მთავრობისაგან გაფრენის ნებართვა, ჩვენ კი, გულახდილად რომ

ვთქვათ, თითქმის სავსებით მზად ვიყავით გაფრენისათვის. ჩვენ იმდენად ვერადა ეს მანქანა, რომ გადავწყიო მთავრობისათვის გვეთხოვა ჩრდილოეთ პოლუსზე გაფრენის ნებართვა.

ეს იყო 1936 წლის ივნისის დამდეგს. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მორიგი სხდომა იყო. დავუცადეთ შესვენებას და მაშინ მივედით ამს. სერგო ორჯონიშვილი კი ეს თან, გავახსენეთ ჩვენი თხოვნა გაფრენის ნებართვის შესახებ. ამს. ორჯონიშვილი იცოდა, რა მუშაობასაც ვეშეოდით ჩვენ, მაგრამ ის მოითხოვდა რაც შეიძლება გულდასმით შეგვემშებრინა თვითმფრინავისა და ეკიპაჟის გაფრენისათვის მზადყოფნა. როდესაც ჩვენ კვლავ მივმართეთ და ვთხოვეთ გამოერკვია ჩვენი პროექტის ბედი, სერგომ გაიცინა და გვითხრა: — ერთ აღილზე ვერ ისვენებთ... მანქანა კარგად შეამოწმეთ? მაშ კარგი. ამხანაგ სტალინთან შევახვედრებთ. ვნახოთ, რას იტყვის იგი...

სახომი წავიდა ამხანაგ სტალინთან მოსალაპარაკებლად. ჩვენ აღელვებულნი ვუცდიდით მის დაბრუნებას.

თაბაში შემოვიდა ამხანაგი სტალინი. მოგვესალმა, ხელი ჩამოგვართვა და მერე გვკითხა:

— რაშია საქმე? რა გნებავთ, ამხანაგო ჩეალოვ?

— გთხოვთ ნება დაგვრთოთ, ისებ ბესარიონის ქვე, რომ ჩრდილოეთ პოლუსზე გაფრინდეთ.

ამ მომენტში ჩვენ ჯგუფთან მოვიდნენ ამხანაგები — მოლოტოვი, კოროშილოვი და კაგანოვიჩი, რომებსაც ამხანაგმა ორჯონივიძემ უამბო ჩვენი პროექტის შესახებ.

ერთ წუთს დუმილი ჩამოვარდა. ხალხთა ბელადთან შეხვედრით ცოტა არ იყოს დაბნეულნი ველოცით მის ბასუს. მოგვცემს თუ არა ამხანაგი სტალინი პოლუსზე გაფრენის ნებართვას? მოგვანდობს თუ არა იგი ამ საბასუსის მგებლო და საპატიო ამოცანას? ვაი თუ უარი გვითხრას!

მაგრამ მალე მთლად ერთიან გაქრა ჩვენი შეშუოთება.

ამხანაგმა სტალინმა ლიმილით მოგვცა წინადადება, ასეთი მარშრუტი იმდეთო: მოსკოვი — კამჩატკის პეტროპავლოვსკი. ამხანაგ სტალინის წინადადება იყო არა მხოლოდ მოულოდნელი, არამედ ძალიან მიმხიდველიც: გზა მოსკოვიდან კამჩატკის პეტროპავლოვსკამდის ძალიან ბევრ სიახლეს გვიქადდა.

ათასი კილომეტრები უნდა გადაგვეტრინა იქ, სადაც ჯერ არც ერთ პილოტს არ გადაეფრინა. უნდა გაგვეყვანა დიდი ტრასა, რომელიც შეაერთებდა ქვეყნის გულს — მოსკოვს მის შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებთან. ჩვენ დაუყოვნებლივ მივიღეთ სტალინური მარშრუტი.

აეროდრომზე ვათენებდით და ვალამებდით მუშაობაში. ვამოწმებდით მანქანის რთულ მოწყობილობას, ვიმუშავებდით გადაფრენის ტრასას, ვამზადებდით სურსათ-სანოვაგის საავარიონ მარაგს. აუარებელი საქმე: გვქონდა გასაკეთებელი და ყოველდღე ვგრძნობდით, ჩვენს მზადებას რა გულისყრით აღეცებდა თვალს ამხანაგი სტალინი.

როდესაც დავასრულეთ ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები და მხოლოდ გაფრენის დღის დანიშნა-ლა იყო საჭირო, „ანტ-25“-ის ეკიპაჟი — ბაილუკოვი, ბელიაკოვი და მე — კრემლში მიგვიწვიეს. აქ მეორედ მოეწყო ჩვენი შეხვედრა ამხანაგ სტალინთან. ამხანაგ სტალინის გარდა კაბინეტში იყვნენ მოლოტოვი, ორჯონივიძე, ეუოვი, მეულაუკი და მ. კაგანოვიჩი.

ჩვენ შევედით კაბინეტში და მივესალმეთ იქ მყოფებს. ამხანაგმა სტალინმა თქვა:

— მოგვახსენეთ, ამხანაგო ჩეალოვ.

დაგვიდეთ რუკა, და მე დაწვრილებით დავიწყე მოყოლა მომავალი გადაფრენის შესახებ.

რუკაზე უკვე აღნიშნული იყო გადაფრენის ტრასა.



საბჭოთა კავშირის გმირები: ჩეალოვი (შუაში) გაილუკოვი (მარცხნივ) და ბელიაკოვი

ჩვენი პროექტი მოიწონეს. როდესაც დასრულდა ბასი, გამომშვიდობებისას ამხანაგმა სტალინმა გულზე მოგვათით და ხუმრობით გვითხრა:

— აბა, სინდისის ქვეშ თქვით, რა მდგომარეობა გაქვთ მანდ, ყველაფერი რიგზეა? დაეჭვების ჭიახომ არ გყავთ მანდ?

— არა, ამხანაგო სტალინ. ჩვენ დამშვიდებული ვართ, ჩვენ მზად ვართ სტარტისათვის.

მაშინ ამხანაგმა სტალინმა თბილად და მეგობრულად ჩამოგვართვა ხელი და თქვა:

— მაშ კარგი, დე, ისე იყოს, როგორც თქვენ გინდათ... გადაფრენის საგზური მოგვცეს!



II

ალხთა ბელადის დავალება შესრულდა. ჩვენ დავასრულეთ სტალინური მარშრუტით გადაფრენა და მოსკოვში ვგბრუნდებოდით. ჩვენი საყვარელი „ანტ-25“ მოსკოვის ახლოს მდებარე ერთერთ აეროდრომზე დაეშვა. ამხანაგი სტალინი დაგვხედა აეროდრომზე. ის გადაგვეხვია და სათითაოდ გადაგვოცნა, დაწვრილებით გამოგვეითხა გადაფრენის პირობები, გვაქებდა. სიტყვებს ვერ ვპოულობდით, რომ ჩვენი სიყვარული და ერთგულება გამოგვეხატა ამ დიდი აღმიანისათვის. ჩვენ მზად ვიყავით კვლავ ჰაერში ავფრენილიყავით, რომ გაგვემორებინა ჩვენი გადაფრენა, რომ უფრო შორს გავფრენილიყავით, რომ კიდევ ერთი ახალი რეკორდი დაგვეპყრო ჩვენი ქვეყნისათვის.

ამ გრძნობებზე უამბე ამხანაგ სტალინს და მთავრობის წევრებს კრემლში, სადაც მოეწყო ჩვენი მიღება. კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მფრინავები,

კონსტრუქტორები და ინჟინრები, მძიმე მრეწველობისა და წითელი არმიის მუშაკები.

— დიღი ჯილდოსათვის, — ასე მივმართე მაშინ ამხანაგ სტალინს, — ამ შეხვედრისათვის ნება მოგვეცით, ამხანაგო სტალინ, გავიმეოროთ ეს მარშრუტი...



III.

უროჩტე ვისვენებდით. აბაზანებს ვიღებდით, ვბანაობდით, ვიბრძოდით ტენისეს კორტებით, ვდაობდით ბიონიარდის მომავალ პარტიებზე. ბელიაკოვი ფრანგულ ენას სწავლობდა... სამნი ვისვენებდით — მე, ბაილუკოვი და ბელიაკოვი. ჩვენთან იყვნენ ცოლები და შვილებიც.

დილით გაისმა ტელეფონის ზარი. მე გამომიძახეს. ტელეფონით ნათქვამმა რამდენიმე სიტყვამ არა-ჩვეულებრივად ამაღლვა. ამხანაგი სტალინი ჩვენ ყველას ცოლებიანად სტუმრად გვეპატიუებოდა თავისთან 16 საათისათვის.

რამდენიმე წუთს უხმოდ ვიჯექით. წვერი გავიპარეთ, ტანისამოსი გამოვიცავალეთ, ვიჯექით ოთახში და მოუთმენლად მიესხერებოდით საათს. როდესაც დადგა ამხანაგ სტალინთან წასკლის დრო, ჩვენ კვლავ ავლელდით. თითქოს ჯიბრზე, საქმეს აჭირვებდა გახაძებული საყელო, რომლის გაეკოტება-საც ამაოდ ვცდილობდი. კიდეც შემომიყვირეს, მაჩქარებლნენ. იძულებული გავხდი გადამევდო საყელო, აბრეშუმის ირიბსაყელოიანი ბლუზი ჩავიცვი და გავეშურე, რომ ამხანაგებს წამოვწეოდი.

ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა აგარაკზე, რამელსაც ირგვლივ ხეხილის ბალი ერტყა. ის წინა შესავალთან შემოგვეგება. იქვე იდგა ამხანაგი უდანოვიც. ამხანაგმა სტალინმა გულდასმით აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა (მოიკრიბეს თუ არა ძალონე კურორტზე), მერე კი ყველანი ბალში წაგვივანა. ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ იმ დღეს. ამხანაგი სტალინი მებალეობის დიდი მცოდნე გამოდგა, მას უყვარს ხეხილი, უყვარს მათ შესახებ ლაპარაკი. ბალში ლიმონის ბევრი ბუჩქი იყო, ევკალიპტის სუნი მოდიოდა. მე აქ ამხანაგ სტალინისაგან პირველად გავიგე ევკალიპტის შესანიშნავი თვისებების შესახებ. თურმე კოლოებს ეჯავრებათ ამ ხის სუნი. ამერიკელებს პანამის არხის გაყვანის დროს დაჭაობებულ ადგილში დაურგავთ ევკალიპტები, რომ მალარიისაგან ეხსნათ ხალხი. ამხანაგი სტალინი ძალიან მხურვალედ იცავდა იდეას ევკალიპტების დარგვისა ქვეყნის მთელ რიგ ადგილებში, სადაც ძნელია კოლოებთან ბრძოლა.

როდესაც ბალი გვიჩვენა, ამხანაგმა სტალინმა ოთახში შეგვიყვანა. ბასი კიდევ უფრო მეტად გვიმენდობის უფრო ცის გვევლდა. უდიდესი ყურადღებით ვისმენდობის უფრო ცის გვევლდა. ამხანაგი სტალინი აღშფოთებული ლაპარაკობდა იმის შესახებ თურა ცოტას მუშაობენ ჩვენში თვითმფრინავების ელექტრო-შეთბობის პრობლემაზე და მიგვითოთებდა, რომ ამაში, მგონი, დამნაშევა მფრინავთა შემაღენლობაც, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავის ჯანმრთელობასი. პარაშუტის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი, და ამხანაგმა სტალინმა ძალიან სამართლიანი შენიშვნა მოგვცა. მან თქვა: ყველა მფრინავი ვალდებულია პარაშუტი გამოიყენოს ავარიულ მდგომარეობაში, ჩვენთვის ადამიანის სიცოცხლე უფრო ძვირფასია, ვიდრე მანქანებით.

მხიარულად და თბილად ჩაიარა სადილმა. სტუმრები ბლომად იყვნენ ამხანაგი სტალინი ყოველ ჩვენგას აღევნებდა თვალურს, გვთავაზობდა, გვეუბნებოდა — ისე იყავით, თითქოს თქვენს ოჯახში ბრძანდებოდეთ.

ამ დღეს დიდი ბედნიერება გვეწია: ამხანაგმა სტალინმა გვიამბო, როგორ გაატარა წლები მეტის იატაკვეშეთში. ჩვენ სულგანაბულნი ვუსმენდით, ის რომ გვიამბობდა ენისეიზე მომხდარ ამბავს: ამხანაგი სტალინი გადასახლებული იყო და ერთხელ, ზამთარში, ყინულებრილში ჩავარდა. როდესაც ამოცურდა, მთელი ტანისამოსი გაეყინა. იქვე მახლობლად ჭალები მოდიოდნენ, რომლებსაც მხრეულანი ვედროები ჰქონდათ; მათ შეეზინდათ წყლილან ამოცურებული გაყინული ადამიანისა და გაიქცნენ.

საღილის შემდეგ პატეფონი მომართეს, ვლეკვა-დით, ვმღეროდით. ამხანაგი სტალინი არჩევდა ფირფატებს, ხმას ააყოლებდა ხოლმე ჩვენს სიმღრას. როდესაც სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ და მეღდასახელებლად წამოვწევი, მან საბანი აიღო და გულდასმით შემფუთნა იმაში.



IV

ვენ უკვე მოსკოვში ვართ კვლავ რუკებს ვუზიგარო, ვმსჯელობთ მომავალი გადატრენის ტრასის შესახებ. ჩრდილოეთ პოლუსზე გაფრენის აზრი არ გამქრალა, ის გვალელვებს, მაგრამ ამ ჯერად ჩვენ ვებდავთ უფრო რთული ვარიანტის შეთავაზებას: მოსკოვი — ჩრდილოეთ პოლუსი — ჩრდილოეთ ამერიკა. დავწერეთ განცხადება. პარიზის საბაიაციო გამოფენიდან დაბრუნების შემდეგ მოუთმენლად ველოდით პასუხს.

ამ დღეების განმავლობაში მე თითქმის სულ შინ ვიჯექი, კრემლიდან ზარის დარეკვას ველოდი. და-



05363
કાલેજ

ბოლოს, გადავწყვიტე ქალაქეთ გაესულიყავ სა-
ნადიროდ. როდესაც დავბრუნდი, გაფიგე, რომ სწო-
რედ იმ დღეს დაერკევათ ჩემთვის, რამაც დამა-
რონა.

— არა. ახლა კი აღარ გავალ სახლიდან.

მაგრამ არ მირევავნ. ჩვენ დავიწყეთ ნერვიულობა, ღელვა. ვკამათობდით ხოლმე—მოიწონებენ თუ არა ჩვენს პროექტსო? დღეები გადიოდა... ამ გულშემოლონებელ მოლოდინს ბოლო მოულო ყოველთვის მშვიდმა, აუღლელვებელმა ბელია კოვმა:

— თქვენ როგორც გნებავთ, ამაანაგებო, მე კი
საჭირო შევუდგები.

ეს ბრძნული გადაწყვეტილება იყო. ფრენასა და
თავის საყვარელ შრუმანის საქმეს რომ მიჰყო ხელი,
ბელიაკოვი აღარ ღელავდა. მის მაგალითს მიპარა
ბაილუკოვმაც და შეუდგა თვითმფრინავის გამოკვდას.
მიმდინარე საქმეები განვაახლე მეც, ახალი მანქანე-
ბით დავფრინავდი.

ერთხელ მე თვითონ გავტედე და დაცრებე კრემლ-
ში. მთხოვეს ააძლენიმე დღე დაიცალეთო. და ბო-
ლოს, დანვრის შუა რიცხვებში გაისმა დიდი ხნის
ნანატრი ზარი. ჩვენ შეგვატყობინეს: გადაფრენს
გეგმა დამტკიცებულია. ოჲ, რარიგ გაგვიხარდა!
დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ „ცაგი“-ში, საღაც მუ-
შაობა გაჩაღდა. მიმდინარეობდა თვითმდგრადიავისა და
მოწყობილობის შემოწმება და უცემ გვაცნობეს:
დაქმტკიცებინათ არა ჩვენი გეგმა, არამედ ვოდო-
პიანოვისა, —ჩრდილოეთ პოლუსზე გაფრენს. პირ-
ველ ხანებში ერთბაშად ვერ მივხვდით სტალინის
გადაწყვეტილების მთელ სიბრძნეს —ნება დაერთო
ჯერ ვიღობიანოვისათვის ჩრდილოეთ პოლუსზე
გადასაფრენად, მერე კი ჩვენთვის. ეს კი ერთად-
ერთი სწორი გადაწყვეტილება იყო, პოლუსზე და-
ტოვებულ მეზამთრეთა ჯგუფს შეეძლო უზრუნველე-
ყო ამინდის შესახებ ჩვენთვის ცნობების მოწო-
დება.

ମାଘରାତି ଲୋଗନ୍ ମନ୍ଦିରକ୍ଷେତ୍ର—ଗାଉର୍ଣ୍ଣନିଃ ନେବାରଟ୍ଟା
ଏବଂ ଗାର୍ଜ୍ଵେସ, ମନ୍ଦିରକ୍ଷେତ୍ରରେ ମୁଖ୍ୟମାନଙ୍କ କି ଦାର୍ଶନିକ. ଶ୍ରୀ-
ପ୍ରଯୋଗିତ୍ରମ ମୁଖ୍ୟମାନଙ୍କ ଟଙ୍ଗ ଅନ୍ତରେ ଗାଲାପଣ୍ଟ୍ୟୁଗିଥ୍ରେ କି ଆ
ଶ୍ରୀଗ୍ରେହ୍ୟାନ୍ତିର, ଅରାମ୍ଭେ ହୁମାଦ ଗ୍ରେମ୍ଭିଶାବା. ଏହି ନ୍ୟୂ,
ହେବ ମିଶ୍ର: ମିଶ୍ରମ୍ଭୁଲି କ୍ଷେତ୍ରିକ୍ୟାପିଳି ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ,
”କ୍ରମନ୍ତିରାବାନଭାବ“. ମାର୍ତ୍ତିଶି ମହାଦ ନ୍ୟୂ ତଥିତମତ୍ରନିଙ୍ଗୀ.
ଅମାବ୍ସ ତଥିର ଦାମଦ୍ୱୟରେ ଗାଉର୍ଣ୍ଣନିଃ ତାଲାରାମିଲି କ୍ଷେତ୍ର-
ଦିନ୍ଦ୍ରିଯା ହୃଦୟରାମିଲି କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷେତ୍ର. ମେଘବାରଟାଗାନ ଅରା-
ଗିନ ଆ ପ୍ରାଣରେ ହେବନ୍ତି ”କ୍ରମନ୍ତିରାବାନଦୁଲି“ ମୁଖ୍ୟମାନଙ୍କିଲେ
ଶ୍ରୀଶାନ୍ତିର.

შესახებ. სულს რომ გვიმჭარებდნენ შეკითხვებით,
ჩვენ ვიუბნებოდით:

— ასა ამბობთ, ამხანგებო, ჩვენ არავითარი გაფრენისათვის არ ვემზალებით. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მანქანის მორიგ რემონტს ვაწარმოებთ.

ელვასაგით მოედო მთელ მსოფლიოს ცნობა საბჭოთა დესანტის ჩრდილოეთ პოლუსზე შესანიშნავად დაშვების შესახებ. მე ღიღხანს ვიკავებდი თავს, ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ამხანაგ მოლოტოვს დავურეკე. ვთხოვ ეცნობებინა, რა აზრის იყო ამხანაგი სტალინი ჩვენი წინადაღების შესახებ ჩრდილოეთ ამერიკაში გაფრენაზე.

— სა მდგომარეობაში გაქვთ მატერიალური ნაწილი? — ცოტაოდენი დუმილის შემდეგ იკითხა ამას-ნაგან მოლოტოვმა.

— ყველაფერი მჩაღაა.

— የመጋገሪያ ገዢ በመሆኑን እንዲያስተካክል ይችላል፡፡

— ჩვენ ყოველი შემთხვევისათვის...

ამს. მოლოტოვს გაეცინა და თქვა:

— კარგი, ამა. ჩემოვ, ამ დღეებში ვიმსჯელებთ
თქვენ საკითხზე.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, 25 მაისს,
დამირეკეს და მაცნობეს—კრემლში ხართ მოწვეული
თაობირზეო.

ამ თაობირზე ბაილუკოვთან ერთად წავედი, ხელიაკოვი ამ დროს ფრინავდა. მაგონდება, რა გულასმით ვემზადებოდით მე და ბაილუკოვი ამ თაობირისათვის.

— ჩვენი მოხსენება მოკლე და დამაჯერებელი უნდა იყოს, — ვმშობდით ჩვენ. — ყოველი გამოსვლა წუთობით უნდა იყოს გამოანგარიშებული.

ჩვენ ისე მივეშურებოდით მიღებაზე, რომ გადა-
გვავიწყდა საშევების აღება და მხოლოდ კრემლის
ჭაშქართან გაგვახსენდა მათ შესახებ. დაფიქრებუ-
ლებმა გავაჩერეთ მანქანა. რა ვქნათ, საშევებისათვის
გავძრუნდეთ? მოვიდა მორიგე, შემოგვხედა, გაიღი-
მა და თქვა:

— საშვები არ გინდათ. თქვენ გიცდიან, ამხანაგი.

ჩევნ დიდ მაგიდას უშეიგართ. კარს უკან ისმის
ნაბიჯის ხმა და ლაპარაკი. დარბაზში შემოდიან ამ-
ხანგები: სტალინი, მოლოტოვი, ვოლოშილოვი,
კაგანოვიჩი და ეცოვა. ჩევნ ვდეგებით და ყველას
მაგრად ვართმევთ ხელს. ამხანგი სტალინი ისე
გვხვდება, როგორც თავის მეგობრებს. ის იღიმება.

ჩვენ უცებ დამშვიდებულად ვგრძნობთ თავს უფროს ამხანაგებთან.

დარბაზში ბევრი მფრინავია. სიტკევა ეძლევა ლევანესკის. ის გვიზარებს თვის შთაბეჭდილებებს ამასწინათ ამერიკაში გამგზავრების შესახებ, გვაწვდის ცნობებს შექნილი აეროპლანების შესახებ. სხვათა შორის, ჩვენ გაგვაოცა ამხანაგ სტალინის დიდმა ცოდნამ ვიწრო ტექნიკური საავიაციო პრობლემების დარგშიც. ლევანესკიმ თავის მოხსენებაში გაკვრით თქვა ერთ დეტალზე.

— ეს დროსელის მისაფარია? — უცებ იქითხა ამხანაგმა სტალინმა.

ჩემი გამოსცლა მე დავიწყე „ანტ-25“-ის დახასიათებით, აღვნიშნე, რომ, ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ თვითმფრინავით უნდა მოხდეს პოლუსზე გადაფრენით ჩრდილოეთ ამერიკაში ჩაფრენა. მე მოვაგონე მსმენელებს, რომ წინანდელი გადაფრენა მეტეროლოგიური პირობების გამო შევწყვიტეთ, ბაკებში კი ტონა ბერზინი გვქონდა.

ბევრი დავიდარაბა მივაყენე ბაიდუკოვს. მე ძალიან გატაცებული ვიყავი და კინალამ წამომცდა, ვერხნეუდინსკის თავზე გადაფრენისას რომ ცოტა დარჩა არ გადავწყვიტეთ კურსის შეცვლა და ჩრდილოეთ პოლუსით ამერიკაში გადაფრენა. ბაიდუკოვმა უცებ წამავლო ხელი პიჯაკში და დამწია, მე გამარტინი, მაგრამ სტალინმა გალიმებით მითხრა:

— განაგრძეთ, ამხანაგო ჩეალოვ.

მეორედაც პიჯაკზე წამავლო ხელი და დამწია ბაიდუკოვმა, როდესაც კინალამ წამომცდა „კონტრაბანდული“ მუშაობის შესახებ. საქმე ისაა, რომ მე გადამავიწყდა პირობა და ოვითონაც არ შემიჩნევია, ისე ვილაპარაკე იმის შესახებ, რომ მთელი სამზადისი მუშაობა უკევ ჩატარებულია. ბაიდუკოვს ფერიც კი ეცვალა, მაგრამ კვლავ გაისმა ამხანაგ სტალინის ხმა:

— განაგრძეთ, ამხანაგო ჩეალოვ.

როდესაც დავასრულე, ამხანაგ სტალინისა და ჟველა იქ შეკრებილის ბაგებზე ღიმილი კრთოდა. „ხომ არ ავჩერდით, რომ მოვამზადეთ?“ — შეშფოთებით გავითიქრე: — მთავრობის დადგენილება ხომ

არ ყოფილა“. შევხედე ბაიდუკოვს, მის თვალებშიც იგივე შეშფოთება იხატებოდა.

— მაშასადამე, როგორ აქვთ მანქანის კამები პკითხა ამხანაგმა სტალინმა ამხ. მ. კაგანოვის სტალინის გარეშე.

— ესენი დღი ხანია მზად არიან, ამხანაგო სტალინ. თქვენც ხომ გაიგონეთ.

— დიახ, გავიგონე, — გაეცინა ამხანაგ სტალინს.

— თუმცა მე ამის შესახებ ადრევე ვიცოდი.

გულზე მომეშვა. მაშასადამე, ამხანაგმა სტალინმა იცოდა მთელი ჩვენი მოსამზადებელი მუშაობის შესახებ. უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეებით გართულმა, მან ჩვენც არ დაგვივიწყა. მაშ თუკი მან იცოდა მზადების შესახებ, მაშასადამე...

ამხანაგმა სტალინმა დაგვიწყო ჩვენ მიერ ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის ყოველი წერტილ-მანის გამოკითხვა, თანაც ჩვენ ვერდნობდით, რომ მას ნახევარი სიტყვის თქმაზევე შესანიშნავად ესმოდა ჩვენი, სავსებით გარკვეული იყო ყველა სამუშაოში.

— მაშ, ამხ. ჩეალოვ, თქვენ ამბობთ, რომ „ანტ-25“-ის არჩევა სწორია? — მეითხა მან.

მერე ცოტახანს გაჩუმდა და დაუმატა:

— რაც გინდა იყოს, ერთი მოტორია... ეს არ უნდა დავივიწყოთ...


თაბიბის მთელი მსვლელობით გათამამებულმა, მე ვუპასუხე:

— ამხანაგო სტალინ, შესანიშნავი მოტორია. ეს ხომ დამტკიცებულია და საფუძველი არა გვაქვს შეშფოთებისათვის. გარდა ამისა, — გავისუმრე მე, — ერთი მოტორი — რისეის ასი პროცენტია, თოხი მოტორი კი — ოთხისი.

დარბაზში სიცილი გაისმა. ამხანაგმა სტალინმა, როდესაც დაინახა ამხ. აღსკნისი, რომელიც დარბაზში შემოვიდა, მხიარულად უთხრა მას:

— აი, რა უნდა მოუხერხო ამათ. პოლუსზე გადაფრენით აპირებენ ჩრდილოეთ ამერიკაში ჩაფრენას. თქვენ რა აზრისა ხართ?

— ჩემი ცნობების მიხედვით, ამხანაგები ჩეალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი მზად არიან გასაფრენად. ჩემი აზრით, შესაძლებელია მიეცეთ გაფრენის ნებართვა, — თქვა ამხ. ალექსისმა.



რუკაზე: შავი ხაზთ აღნიშნულია მარშრუტი მოსკოვსა და ჩრ. ამერიკის შტატების შორის, რომელიც დაფარა ჩეალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის თვითმფრინავმა. ხოლო წყვეტილ ხაზებით იგივე მარშრუტი — გრომოვის, იუმაშევის და დანილინის მიერ.

კულტურული გადამწყვეტი მომენტი დადგა. ამხანაგ-
მა სტალინმა კიდევ რამდენიმე შეკითხვა მოგვცა,
ცოტახანს დაფიქრდა, მერე კი ოქვა:

— მე მომხრე ვარ.

მაშასადამე, მივფრინავთ! ამრიგად, მოსკოვი —
ჩრდილოეთ პოლუსი — ამერიკა.

— დაევალოს გადაფრენის კომანდირს ამხ. ჩა-
ლოეს ოდნავი საშიშროების შემთხვევაშივე შეწყვი-
ტოს გადაფრენა კანადაში.

ეს ფრაზა ამხანაგმა სტალინმა მეც გამიმეორა.

— შეწყვიტეთ გადაფრენა, როგორც კი საფრთ-
ხე იქნება მოსალოდნელი.

მე არ ვიცოდი, რა სიტყვებით გადამეხადა მად-
ლობა ამხანაგი სტალინისათვის იმ უდიდესი ნდო-

ბისათვის, რაც მან ჩვენ მიმართ გამოიჩინა. მე მა-
რად ჩამოვართვი ხელი ძეგირფას ბელადს და კუთხარი: კუ-
— გმადლობთ, ამხანაგო სტალინ, ნდობისათვის
ჩვენ გავამართლებთ მას.

ამ სტრიქონებს ვამთავრებთ ჩვენი წითელთრთე-
ბიანი კეკლუცი „ანტ-25“-ის სტარტის წინ. რამდე-
ნიმე საათის შემდეგ ავფრინდებით ჰაერში, გამოვე-
მშვიდობებით მშობლიურ მოსკოვს და გეზს ავილებთ
ჩრდილოეთისაკენ. მთელ ჩვენს ცოდნას, მთელ ჩვენს
უნარს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ ახლაც შევა-
სრულოთ ის, რაც დაგვავალეს, გავამართლოთ ნდო-
ბა ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანისა, ადამიანისა,
რომელმაც ულოლიავა და იღზარდა ს. ბჭოთა კავ-
შირის კადრები — ამხანაგი სტალინისა.



ჯერ ისევ არ შეჩერებულიყო ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შეილების — ჩალოვის, ბაი-
დუოვისა და ბელიაკოვის თვითმფრინავის გუგუნი, რომ შეელკოვის აეროდრომიდან
კვლავ აფრინდა სტალინური არშივი და ჩრდილოეთ ამერიკისაკენ გაემართა.

ეს იყო მეორე ძირდაუშებელი გადაფრენა მარშალტით: მოსკოვი — ჩრდილოეთის პო-
ლუსი — ჩრდილო ამერიკა.

სტარტი 1937 წ. 12 ივლისს 3 საათსა და 21 წუთზე დაიწყო. თვითმფრინავის ეკი-
პაჟი შედგებოდა: საბჭოთა კავშირის გმირი მ. მ. გრომოვი — მეთაური. მაიორი ა. ბ. იუ-
მაშევი — მეორე პილოტი, მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერი ს. ა. დანილინი — შტურმანი.

და ეს გადაფრენა, ისე როგორც ჩალოვისა, სასახელოდ დამთავრდა, სტალინური
გაბედულებით საბჭოთა ქვეყნის გმირებმა ვაჟაცურად გააპეს სიერცე ამ ორ უდიდეს
ქვეყანას შორის.

ბედნიერია ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ასეთი გმირები ჰყავს. ჩალოვმა, ბაიდუკოვმა,
ბელიაკოვმა, გრომოვმა, იუმაშევმა და დანილინმა მთელ მსოფლიოს დაანახვეს საბჭოების
ქვეყნის სიდიადე და ძალა; მათი გმირობა შევიდა კაცობრიობის საუკეთესო წარმომად-
გენლების გაბედულ ძიებათა ისტორიაში და ჩაირიცხა მეოცე საუკუნის უდიდეს მიღ-
წევათა თანრიგში.



შელხანები ჭარაფი



6 1 8 2 0 1 0 1 8 1 8 0

1.

ჩვეულებრივზე უფრო ლამაზია ამაღამ ცა.

თავი შენისლული; აჭარისწყალი მარტო ღმუის სარგინეთის ჭიუხებთან. მთაზე ხელისგულივით ატანილ ხულოს თითქოს ცეცხლი უკიდიაო, ისე გაღადღადებული ელნათურებით. მოშორებით კი შევვიანებულ მთვარის შუქზე ამაღლებულან ზედააღმედა და დანისპარაული.

შუაღამედ დიდიხანია კართან ჩაიარა.

ღაღარში ღვივის გადარჩენილი ნაღვერდალი, ხან თვალს გაახელს, ხან ჩაქრება და მიიძინებს. შემოღომის მქბენარი სიცივე შემოდის სახლში, კერისპირას მიგდებული ძალი ამთქნარებს და თვალებში შესკერის პატრონს, გამოუთქმელი გრძნობის გამოსახატავად კუდს აქიცინებს.

ნაპერწყვალს ჩასკერის გულხანუმ.

რამდენი ღამეა არ ჩასთვლებია გულხანუმის თვალებს. ქალს დააჭინობს ამდენი დარდი და ღამისთვევა. კარებს მიაშტერდება უმიზნოდ, და გონებაში იშლება ქალაქის გზა. როგორ შეუძლია მერე წასვლა? ჯერ სოფელსაც არ გასცილებია იგი. ვაჟი რომ იყოს გულხანუმ, ძალას იხმარდა, ბებუთს გაიჩინდა სახელოში და შექერთვალის თანმეხავრობით გასწევდა, ფეხით ჩავიდოდა ხულომდე, მერე მანქანით ბათუმს გაემგზავრებოდა და ხვალ საყვარელ ძმა ფეხისთან ერთად დაბინავდებოდა, სკოლაშიც შევიდოდა.

ვაჟი რომ იყოს, მოიმოქმედებდა ამას გულხანუმი. მაგრამ ეზოდან გადაუსვლელი ქალია და რა ქნას?

ბევრ რამეს ფიქრობს გულხანუმი და შექერთვალი ულოვავს თითებს.

ჯევაპირს გულს უკლავს შვილის გაწამება. დედის გული მოუსვენარია. დედა ყოველთვის იგრძნობს პირმშოს ტკივილებს. ახლაც არ სძინავს ჯევაპირს, შვილებზე დარღობს უსიტყვო დედა.

ფემი გულხანუმზე ორიოდე წლითაა უფროსი. გულხანუმს ახლა შეუსრულდა თხუთმეტი წელი. სოფლის არასრული საშუალო სკოლა ერთად დაამთავრეს და-ძმამ. ამხანაგებივით შეეზარდნენ ერთი-მეორეს, ლუქმასაც კი არ ჩაიდებენ უერთმანეთოდ პირში, ახალ ამბავსაც კი არ იტყვიან ცალცალკე. ქალი სულ იმას ფიქრობს—ფემის არაფერი ეწყინოსო, მმა იმის ფიქრშია გულხანუმს არაფერი გაუკირდესო.

სასწავლებელი დამთავრეს და სწავლის გაგრძელება წყუროდათ ორთავეს, მაგრამ მამა აღიმართა მათ შორის.

— ქალს სტავლა რათ უნდა, ეფენდი? — ეუბნებოდა მამულუდ მეზობლებს და მეზობლებშიც ზოგიერთები კვერს უკრავდნენ მის მოსახრებას.

წყურვილი შეუთოეს ქალს.

ფემი გაემგზავრა ბათუმს სასწავლებლად.

სამი თვეა ოჯახში არ ყოფილა ფემი. „მალე ჩამოვალო“ — იწერება. გულხანუმი გულგაჩეხილივით მოელის ძმას, თითქო შევლა მოჰკონდეს მისთვის.

მთვარე მოტრინებს გადასცდენია, საღაც არის მამალი იყივლებს გამთენისას.

მამშუდს საშინელი სიზმრები აქვს ამაღამ.

2.

ზამთარ-ზაფხულ ერთნაირია ბათუმი. ხელისგულივით კრიალა მიმხილველი ქუჩები მწვანე ჩარჩოებით მიემგზავრებიან. ხანჯლიანი პალმების გვერდით ზამთარ-ზაფხულ ყვავიან ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეები.

შემოღომაც ზაფხულის მსგავსია ბათუმში.

ორსართულიანი სასკოლო შენობის წინ მოსწავლების ერთამული ისმის და ლახტის მოთამაშე ბიჭების ხარხარია.

შესავალთან ახალგაზრდა აღანძულა და მორცხვად მისჩერებია მოთამაშებს, გიშერნარევი თმა წარბებამდე ჩამოჰკრია, მოუსვენარი თვალებით ზვე-

რავს ირგვლივ მყოფთ. დიღი ხანიც არაა, რაც სკოლაში მიიღეს იგი, მოწყენილია ნიადაგ. ორი საზრუნავი აქვს ამ ბავშვს; სწავლა და ყველასათვის გაურკვევალი ფარული დარღო.

ვიღაცამ მზრუნველი ხელი დაადო ჭაბუქს მხარზე, შექრთა იგი, მის წინ ტანმოსული სათვალებიანი კაცი იდგა, თბაზე ხელი გადაუსვა და ალერსიანი ხმით ჰკითხა:

— რატომ ამხანაგებში არ ერევი, ფემი?

ფემიმ პასუხი ვერ მონახა და ქამრის ბოლოს დაუშვი გრეხა. დირექტორმა კითხვა ერთხელ კიდევ გაუშეორა, მერე ხელი გაუკარა და კაბინეტისაკენ წავიდნენ.

ჩამოსხდნენ. დირექტორის კაბინეტში კედელზე სტალინის ვეებერთელა სურათი ეკიდა და მამობრივი მზრუნველობით შესცემოდა ფემის. ჭაბუქმა რაღაც ახალი ძალა იგრძნო, თითქო მეორე ბიჭი გაჩნდა ახლა მასში, განმეორებით შეანათა თვალზე ამ ჩაუქრობელი ადამიანის სახეს და რატომდაც მოაგონდა, რომ სოფლიდან წამოსვლის ღამესაც ასე უცემოდა იგი კედლიდან, თითქო აჩრებდა და ეუბნებოდა ბეჯითად იყავით. ახლა ერთსა და იმავე ღრის უცემოდა იგი გულხანუმს იქ, ას ორმოცი კილომეტრით მოშორებულს ფემისაგან, და ბაოუშში მყოფ ფემის.

ფემი ფეხზე წამოიჭრა და დირექტორს მიუახლოვდა, ყველაფერი უნდოდა ეთქვა და აი ამ ღრის კაბინეტში შემოვიდა ტანმორჩილი შავვარემანი ქალი, შემოვიდა და შექრთა, როცა ფემი დაინახა, ხომ არაფერი დაუშავებიაო—გაიფიქრა რატომდაც.

ფემიმ თქმა ვერ გაბედა, გულში რაღაც ღრილინდა და როცა თვალებზე უცაბედი ძალა მოაწვა, ხელები აიფარა და კარებს მიაშურა.

— რა მოუვიდა ამ ბავშვს?

კითხეაზე პასუხი არავის გაუცია.

3.

ბევრს ცდილობდნენ ამხანაგები, ვერაფერი მოახერხეს, არ იქნა, გამხელა ვერ გაბედა ფემიმ, დუმილი იყო ყოველთვის მისი პასუხი.

რაღანაც ვაუებმა ვერაფერი გააწყვეს, ახლა ქალებმა სცადეს საიდუმლოს ამოცნობა.

სასწავლებლიდან ახალდაბრუნებული იყო და მაგიდასთან იჯდა. თითქო დღეს შემოსულათ ამ ოთახში პირველად, ისე აშტერდებოდა ყოველივეს. ოთახში რამდენიმე საწოლი იდგა, ერთი მოზრდილი მაგიდა და რამდენიმე სკამი. მაღალი ფან-

ჯრები ძვირფასი ქსოვილებით იყო შებურვილი, ფანჯრებზე ყვავილები და ხმამაღლამოლაპარაკე იდგა. ვერაც დაც ლექსს კითხულობდა რაღიოში, ფემიმ არა გამოიყენებოდა.

“ვით ფალიმე გოგიტიძეს


ცაში უნავარდია“.

„გოგონა ცაში დანავარდობს“—გაუელვა ფემის; გულხანუმი მოაგონდა და გული ჩასწყდა მოამაგე ძმას.


ოთახში ქალები შემოვიდნენ. წინ ტანმაღალი, ფერმქრთალი, ნაწავებიანი გოგონა მოუძღოდათ, მწვანე მაუდის პალტო ეცვა. ქალს მარგარიტას ეხახოდნენ. მარგარიტამ ძვირფასი წიგნი გაუშოდა და ღიმილით წარმოთქა: — „ერთად ვიმეცადინოთ, ფემი“ ფემიმ მარტო გაურკვევლობა იგრძნო, რატომდაც ამ ქალს შეადარა და, რომელსაც უთვალივი კილომეტრი აშორებდა.

— რად მოგიწყენია, ფემი? გვითხარი, იქნებ ჩვენც შეგვიძლია მოხმარება. რად არ იტყვი, გენაცვალე... სოქვი... — ზედიზედ აყრიდნენ კითხვებს და ღიმილს მემნუნე, ტატიანა, ლუთბიე და გულიყრ.

ფემი კი ფანჯარასთან იდგა, დუმდა და სანამ არ გაეცალნენ, არ მობრუნებულა, მერე დუმილი თვითონვე დაარღვია და საკუთარ თავს შესძია: — არაფერსაც არ ვიტყვი! როცა გავაკეთებ და



— რატომ ამხანაგებში არ ერევი, ფემი?



სასწაულს მოვახდენ, მაშინ გაიგებთ, რაზე ფიქრობდა და რაზე დარღობდა ფიმი გაბაიძე!

ერთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ ყველაფერი გაემხილა ამ წუთშივე კეთილი დირექტორისათვის.

4.

გოდერძის ულელტეხილი თოვლიანია, დაღუმებულა ბეშუმის მიღამოებიც.

თოვლში მიგრიალობს ავტომანქანა და აჭარის-წყლის ღმუილს ალვიძებს მისი შეძახილი: გზა მომეცითო.

ფემი უახლოვდება ეზო-კარს.

მისალმებები ენაცვლება ერთიმეორეს:

- სელამ ალეიქიუმ, ეფენდი¹).
- საღოლ, ყარდაშ²!).

გამოუთქმელი სიხარული დატრიალდა ოჯახში. გულხანუმი ტიროდა და იცინოდა, ჯევაპირი გულში იკრავდა დაბრუნებულ შვილს, მაჰმუდ იდგა განზე, ყალიონი გაეტენა და ცეცხლის მოკიდება ვერ მოხერხებინა, — რაღაც დანაშაულს გრძნობდა, რამდენჯერ მე იმეორებდა ერთდაიმავე კითხვას: „დიღხანს დარჩები, კოვ?“.

ეზოკარში არაფერი შეცვლილიყო, ან რა შეცვლიდა ოთხ თვეში. აიგანთან თავის ადგილას იდგა შექერვაშლის და სოსაულა ვაშლის ხეები, თავრაჯული და სურიანი შექერსხალი, ახლა მხოლოდ

ჩხიკვები და შაშვები შესეოდნენ სურის. ხან-გამოშვებით აიგნიდან დაიქუჩებდა მაჰმუდის სტამბოლური თოფი და რამდენიმე მოაკლიდი ბოდა ონავრებს.

შუალმებდე ეხვეწებოდა მამას ფემი, რომ გულხანუმი ქალაქს გაეშეა სასტავლებლად. გამა უარზე იდგა. ჯერ მოიმიზება ბინა არ აქვსო, და როცა ფემიმ საერთო საცხოვრებელზე მიუთითო, მაჰმუდმა სასტიკი უარით გაიღავს ქრისტიანობა: იქ გოგო რავა გეიშობა, ციცები და ბიჭები ერთად წიბიენო, დელიკანლები¹ ერთად რავა გეიჩერებიან! ამაოდ არწმუნებდა ფემი ამ მოსაზრების უსუსურობაში უტეხ მამას.

მაგრამ მაჰმუდ ვიღაცას დაერწმუნებინა, რომ ქალს ეყოფაო ეს სწავლა, და, რაც მთავარი იყო, გულხანუმი აკენიდანვე ჰყავდა დანიშნული მემედ ხიმშიოლლის გაეს უქნარა რიფათს და სასიძო წინააღმდეგი იყო ქალის სასწავლებელში გაგზავნისა.

მა. მუდს კი ან რა ექნა, მეტიც არ იცოდა.

მეზობელი კოლმეურნები ებაასნენ კარგახანს და ცოტა შეფიქრიანდა მაჰმუდ.

იმ ღამეს ფემიმ, გულხანუმმა და მეზობელმა ზოობერგმა რაღაც საიდუმლოდ მოითაბირეს. ფემი დღილით ისევ გაემგზავრა, ასე თქვა ბათუმს მივდივარო.

5.

ზამთრის ღამეა განახევრებული.

საქორწინო ნაბდები წამოუსხამთ ალანძულ ხეებს. ძალლებიც არ ყეფენ, მაჰმებიც კი არ ყივიან.

მაჰმუდის სახლის უკანა კარი გაიღო და თოვლს დააჩნდა ორი ადამიანის ქურდული კვალი. კაბიანს ძალი მისდევს თან. ჭიშკართან ნაბდიანი და გაოფლილი ცხენებია.

ცხენოსნებმა ძალლი ვერ მოიშორეს, იგი ხან წინ უსწრებდა, ხან ჩამორჩებოდა, რამდენჯერმე შეჰყეფა კიდევც.

— ეს ოხერი კვალს გაგვიმხელს, — ჩაილაპარაკა უფრო შინაგრმა და ცეცენიდან ჩამოინაცვლა.

ძალლი მიეხუტა მოამაგეს, ხელები გაულოკა და მერე ბებუთგარჭობილი მიესვენა თოვლს.

ცხენოსნები მიიმალნენ. მეზობლებმა გაიგონეს, ატყდა აურგაზური, უიმედოდ იძახოდნენ გულხანუმი მოიტაცეს.

სიძეს იჭვები ღრლინდა, მაჰმუდს ბოლმა, დედას სიბალული. რამდენიმე დღის მერე ჯევაპირმა გულხანუმის საწიგნეში რაღაც ბარათები იპოვა და მეზობელ ნეჯიბს წააკითხა.

გულხანუმს ბათუმიდან სწერდა ფემი: „თუ მამა ვერ დავითანხმეთ, როცა არღადაგებზე ჩამოვალ,

¹⁾ გამარჯობა, ნასწავლა კაცი

²⁾ იცრცხლე, ძმა.

¹⁾ დელიკანლი — თურქულად ნიშანეს გიჟისხლიანს, ე. ი. ახალგაზრდას.

ზორბეგს მოველაპარაკები და ისე წაგიყვან ღამით,
თითქო ვინმემ მოვიტაცა. ჩვენი დირექტორი კეთი-
ლი კაცია, კარგადაც მოეწყობი აქ“.

შველაფერი ნათელი გახდა. ბარათებმა გასცა
გულხანუმი. მაჰმუდის გულში ტკივილები დაიძრა
და მშობელს გულიანად მოუნდა ტირილი.

6.

არც ისე დიდი ხანი გასულა ამ უკნაური მოტა-
ცების შემდეგ, მშობლებმა კი ნამდვილი ამბავი
მაინც არ იცოდნენ და ისე თვლიდნენ, თითქო ვილა-
ცამ მოიტაცა ქალი და ეს ბარათები მხოლოდ ჭო-
რი იყო სიყვარულის ნიადაგზე მოვონილი.

მაგრამ გულხანუმის წერილი მიიღო მამამ. გულ-
ხანუმი იწერდოდა, რომ იგი კარგადაა, სანიმუშო
სკოლაში სწავლობს, საერთო საცხოვრებელში ცხოვ-
რობს. იგი სთხოვდა მამას ჩამოსულიყო ბათუმს,
მოენახულებინა შვილები.

წერილმა თითქოს შეარყია მაჰმუდ. იგი ქანდა-
კებასავით იდგა და მზის მეორედ ამოსვლამდე კრინ-
ტიც არ დაუძრავს.

მოემზადა გასამგზავრებლად, თავი მოუყარა
ოჯახურ წვრილმანს, ხილს და შეჭამანდს—შვილებს
გაეხარდებაო, თან უთვალავი წერილი წაულო გულ-
ხანუმს ამხანაგებისაგან.

დიდხანს ეხვეოდნენ მამა-შვილი ერთიმეორეს და
დანაშაული ანიავებდა მშობლის გულს.

უკვირდა მაჰმუდს, რომ ოთახში მარტო ქალები
იყვნენ და ვაჟები არა ჩანდნენ. სადღაც წასულანო,
— ფიქრობდა იგი,— როგორ შეიძლება მარტო გო-
გოები ცხოვრობდნენ აქო...



გულხანუმი მიუხედა მამას და ლიმილით შე-
ესიტყა:

— ბაბა, აქანა მარტო ქალები ვცხოვრობთ.

მისი სიტყა გოგონების კისეისმა დაფარა, ისრნი
ეხვეოდნენ მამა-შვილს. მაჰმუდის თვალზე ციმცი-
მებდა უცაბედი სიხარულის ნაყოფი.

საღამოს დირექტორმა ჩაიზე მიიწვია მაჰმუდ,
გულხანუმი და ფერი.

მესამე დღეს გაზეთშიაც დახატეს მამა და შვი-
ლები და გაზეთის ამონაწერი უბით წაულო მაჰმუდ-
მა ჯევაპირს.

მესამე წელია ამ ამბის შემდეგ, გულხანუმი სა-
სწავლებელთან ერთად საფრენოსნო სკოლისაც ამ-
თავრებს, ერთ თვეში მფრინავი იქნება. მას ასე
დაუტრაბახებია:

— ქალი არ ვიყო, თუ ხინოსა და სარგინეთის
მწვერვალებზე რკინის შევარდენი არ გადავანა-
ვარდეო.

ეკაზერინი გაბაშვილი

აჭარელ ბავშვებთან შეხვედრის გამო

გვიჭიკჭიჭე, გვაილერსე
ბედნიერი დროის შვილებს,
ვერც ჭალარა დაგაკვნესებს
და ვერც წლები შეგაშინებს.
ჩვენით არის საფსე მუდამ
დედობრივი შენი გული,
შენც გვასწავლე, როგორც უნდა
ალერსი და სიყვარული.
შენც იბრძოდი სხვებთან, ერთად,
ცეცხლს რომ ძველი დაერუჯა,
მაგდანასთვის არ წაერთვათ
მარჩენალი მისი „ლურჯა“.
მაშ იცოცხლე, გვიალერსე
სტალინური დროის შვილებს,
ვერც ჭალარა დაგაკვნესებს
და ვერც წლები შეგაშინებს!



აღეძსანდა სურავა

მრავალი შესანიშნავი მებრძოლი შეეწირა ხალხის რევოლუციური ბრძოლის წმინდა საქმეს, განსაკუთრებით მეფის ოვითმშერობელობის წინაღმდევ ბრძოლის წლებში და სამოქალაქო ომის პერიოდში.

მეფის ოვითმშერობელობა დაუნდობლად ავიტროვებდა, დევნიდა და ანადგურებდა ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლ რევოლუციონერებს. ვინ მოსთვლის, ხალხის რამდენი საუკეთესო შვილი მოუკლავს, ჩამოუხრჩია, ციხეში ჩაულპია მეფის ხელისუფლებას.

ამ გმირულ ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნას, მათ გმირულ ბრძოლებს არ ივიწყებს მშრომელი ხალხი, მათ არ ივიწყებს პარტია. „ბოლშევიკური პარტია პატივისცემით იხსენიებს თავის ერთგულ შვილებს და მათი ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის მაგალითზე ზრდის ბოლშევიკთა ახალ თაობას“ — ასე წერდა ამ დღეებში ჩვენი საყარელი ხელშძლვანელი ამბ. ლ. ბერია თავის შესანიშნავ წერილში „ლადო კეცხოველი“.

ახალი თაობისათვის აღზრდის ასეთი წყაროა შესანიშნავი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის ცხოვრება და ბრძოლა. ვინ იყო ლ. კეცხოველი? რისთვის იხსენიებდა და იხსენიებს მის სახელს დიდი პატივისცემით მშრომელი ხალხი? ლ. კეცხოველმა თავისი დაუდგრომელი ცხოვრება მშრომელი ხალხის საქმეს შესწირა. აღვნებული რევოლუციონერი, იშვიათი კონსპირატორი, ფარული მუშაობის დიდი ოსტატი ლ. კეცხოველი იყო ჩვენი უსაყვარელესი ბელადის დიდი სტალინის პირადი მეგობარი და უახლოესი თანამებრძოლი.

სულ მცირე ხნის განმავლობაში მოუხდა ლ. კეცხოველს მოღვაწეობა, იგი 25 წლისა იყო, როცა მეფის ჯალთებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. მიუხედავად მოღვაწეობის ხანმოკლე დროისა, ლ. კეცხოველმა დატოვა ნათელი ხსოვნა, როგორც სპეტაკმა რევოლუციონერმა, რომელსაც ხალხის ინტერესისა და რევოლუციის გარდა არ ჰქონდა სხვა ინტერესი.

საინტერესოა ლ. კეცხოველის რევოლუციური მოღვაწეობის არა მარტო ის დრო, როცა იგი პროფესიული რევოლუციონერი იყო, არამედ მისი ბავშვობის და მოწაფეობის წლებიც. ლადო ყოფილა დონჯი და მტკიცე ხასიათის ბაეშვი. ხასიათის სიმტკიცე და აღებული საქმის ერთგულება ლადოს ბავშვობიდან სიკვდილამდე შერჩა.

ლ. კეცხოველი დაიბადა ს. ტყევაივში (გორის მახლობლად) 1876 წ. 2 იანვარს. მამამისი მღვდელი იყო. დედა ადრე მოუკვდა, გაჭირვებით იზრდებოდა. პირველად სწავლა გორის სასულიერო სასწავლებელში დაიწყო, სადაც კარგად სწავლობდა. განსაკუთრებით უყვარდა ქართველი კლასიკოსები. სემინარია იმ დროს წარმოადგენდა მოწაფეთა და-მამპირებელ სასწავლებელს, სადაც გაბატონებული იყო ყოველგვარი უმსგავსობება. სასწავლებელში დამცირებასა და აბუჩად ავდებას ვერ იტანდა ლ. კეცხოველის ბუნება და წინაღმდეგობას უწევდა. განსაკუთრებით ძალზე სძულდა საღვთო რჯული. რელიგია მიაჩნდა მატყუარობად, არ სწამდა ღმერთი, არ უყვარდა ეკლესიაში სიარული წირვა-ლოცვაზე, რაც საგალდებულო იყო სემინარიელისათვის, ამის გამო ამხანაგები უღმერთოს უძახდნენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლადო ასე იქცეოდა არა მარტო სკოლაში, არამედ იჯახშიაც. ეჩეუბებინადა მღვდელ მამას, გმობდა მის მოქმედებას საეკლესიო ხარჯებისათვის გლეხების გაყვლეფის გამო, ეწეოდა გლეხებში რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას, უმტკიცებდა მათ, რომ ღმერთი ხუცების გამოგონილია ხალხის მოსატყუბლად. მამისი ბევრს ცდილობდა მოერჯულებინა თავისი შვილი, მაგრამ ამაოდ.

არდადეგას ლადო სოფელში ატარებდა, სა- დაც უკვირდებოდა გლეხების ცხოვრებას და მეფის მოხელეების ძალადობას, რაც მასში იწვევდა მეფის წყობილებისადმი სიძულვილს.

გორის სასულიერო სასწავლებელში ლ. კეცხო- ველი პირველი გაეცნო ამხანაგ სტალინს. „ამხა- ნაგი სტალინი ლადო კეცხოველზე უმცროსი იყო. იგი სასწავლებლის საშუალო მოსამზადებელ კლასში შევიდა 1888—89 სასწავლო წელს, როდესაც ლადო უკვე მესამე კლასში იყო“ (ლ. ბერია).

გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლ. კეცხოველი მოეწყო ტფილისის სასუ- ლიერო სემინარიაში, სადაც შევიდა სემინარიელთა ფარულ წრეში. ორი წლის შემდეგ ლადო ისე გაი- ზარდა, რომ მოაწყო სემინარიელთა გაფიცვა იმ უმსგავსობათა წინააღმდეგ, რაც გამეფეხული იყო სემინარიაში. მოსწავლეებმა წერილობითი მოთხოვ- ნები წაუყინეს სემინარიის მმართველობას, მმართვე- ლობამ სცადა გაფიცვის ჩაქრობა, მაგრამ ვერაგზით ვერ მოახერხა. ამიტომ შემდევ სულ დაითხოვეს მოწაფეები და სემინარიიდან გარიცხეს 87 მოწაფე, მათ შორის, რასაკვირველია, გაფიცვის ხელმძღვა- ნელი ლ. კეცხოველიც, რომელსაც ტფილისში ცხოვ- რებაც აეკრძალა.

სემინარიაში ამ გაფიცვის მოწყობა ლადოს პირ- ველი რევოლუციური ნათლობა იყო. სასწავლებ- ლიდან გარიცხვას ლადო არ დაუღონებია, ერთი წელი იცხოვრა საკუთარ სოფელში, სადაც ბევრ წიგნს კითხულობდა, შემდეგ კი გაემგზავრა რუ- სეთში და შევიდა კიევის სემინარიაში. კიევში ამ დროს უკვე მუშაობდნენ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები. ლადო შევიდა ერთერთ ასეთ ჯგუფში და აქვე დააპატიმრეს პირველად (1896). სამი თვის პატიმრობის შემდეგ გადმოასახლეს ისევ სამშობ- ლოში, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ლადო დაემალა პოლიციას და ფარულად იწყო ცხოვრება ტფილისში, სადაც რე- ვოლუციურ მუშაობას მოჰკიდა ხელი.

ამ დროს უკვე მუშათა რევოლუციურ მოძრაო- ბას ახალგაზრდა სტალინი ხელმძღვანელობდა. ლადო ისევ დაუახლოვდა სტალინს და ს. წულიკ- ძესთან ერთად გააჩალა რევოლუციური მუშაობა. დაიწყო არალეგალური წიგნების გამოცემა, პორკ- ლამაციების გავრცელება, მუშებში აგიტაციის გა- წევა. 1899 წ. ქალაქებარეთ მოწყობილ მასობაზე



ლადო კეცხოველი

სიტყვით გამოვიდა, ერთი წლის შემდეგ კი ხელ- მძღვანელობდა ტფილისის ცხენის ტრამვაის მუშათა გაფიცვას.

„ლადო კეცხოველი უახლოესი მეგობარი იყო ამხანაგი. სტალინისა. კეცხოველის ბინაზე ხშირად ამხანაგები სტალინი და ლადო გვიან ნაშუაღმე- გამდე აჩებოდნენ და საუბრობდნენ მუშათა მოძრაო- ბაზე, ლენინზე, პლეხანოვზე... — წერს ამს. ლ. ბერია.

1900 წ. ლადო ამხანაგი სტალინისა და პარ- ტიული ჯგუფის დავალებით წავიდა ქ. ბაქოში, რომ იქ გაეჩაღებინა მუშაობა და მოეწყო არალე- გალური სტამბა. ბაქოში ლადო ცხოვრობდა არა- ლეგალურად, სხვისი გვარითა და პასპორტით. სტალინის დახმარებითა და ხელმძღვანელობით ბა- ქოში ლადომ შეძლო მუშაობის გაჩაღება და 1901 წ. მოაწყო პირველი არალეგალური (ფარული) სტამბა.

ამ სტამბაში უდიდესი როლი ითამაშა მთელ რუ- სეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ამ სტამ- ბაში დაიბეჭდა პირველი არალეგალური ლენინურ- ისკრული მიმართულების გაზეოთ „ბრძოლა“ და უამ-

რავი პროკლამაცია, რომლებიც მთელ ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა. ამ სტამბის შესახებ იცოდა ამს. ლენინმა. ლადომ ბაქოში ყოფნის დროს განამტკიცა კავშირი ლენინთან, მიწერ-მოწერა ჰქონდა მასთან და ლენინის დავალებით სტამბამ იწყო ლენინური „ისკრის“ გამრავლება. ლადომ მოაგარა აგრეთვე არალეგალური ლიტერატურის გადატანა-გადმოტანის საქშე. ვინ მოსოვლის, რამდენი უძილო ღამე გაუტარებია ლადოს სტამბაში ფარულად წიგნებისა და გაზეთების ბეჭედის დროს, რამდენი საფრთხე დასტეხია თავზე. მაგრამ მოხერხებულად აუცდენია. ათასი ჯაშუში დასდევდა და უთვალთვალებდა ლადოს, რომ მისი ბინა და სტამბა აღმოჩინათ.

და აი ერთ დღეს, 1902 წ. სტამბის ჩივარდნის საფრთხე დადგა. საჭირო შეიქნა სტამბის სხვა ადგილას გადატანა. ლადოს დავალა გადატანა სტამბა რუსეთის რომელიმე ქალაქში. ამ მიზნით ლადომ მოიარა რუსეთის მთელი რიგი ქალაქები, მაგრამ ვერსად ვერ მოახერხა სტამბის გადატანა და ისევ ბაქოში დამალა სხვა ადგილას, თუმცა უანდარმებმა ბოლოს ლ. კეცხოველის კვალს მიაგნეს, დააპატიმრეს (1902 წ. 2 სექტ.) და მოათავსეს ბაქოს საპურობილები, საიდანაც შემდეგ გადმოიყვანეს ტფილისში მეტეხის ციხეში. რომ ბევრი ხალხი არ ჩივარდნილიყო, ლადომ თავისითავზე აიღო მთელი ბრალდება და პოლოციას განუცხადა თავისი ვინაობა. პოლიცია დიდი ხანი დაექებდა მას და, რასაკვირველია, ლადოს მაგრად მოპკიდეს ხელი. ციხეში ლადო იჩენდა სიმტკიცეს, გამპედაობას, ის იქაც ებრძოდა უსამართლობას, რის გამო მას ხშირად სჯიდნენ, ბნელ საკანში ათავსებდნენ, ართმევდნენ ქვეშსაგებს, ართმევდნენ წიგნებს, რომლების კითხვაც ლადოს ძალზე უყვარდა და თავის ნაცნობებს მოდა სთხოვდა რაც შეიძლებოდა ბევრი წიგნი გამოეგზავნათ.

ერთობ წერილში, რომელსაც ლადო სწერდა თავის ძმას სანდროს, ის იხვეწებოდა შეეგზავნათ მისთვის შექსპირის დრამები და ნ. ბარათაშვილის ლექსები. ციხეში ლადოს ხშირად არ აძლევდნენ სეირნობის ნებართვას, მაგრამ ლადო პროტესტს აცხადებდა და თავისი საკანის ფანჯრიდან იძახო-

და: „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას! ძირს თვითმმარტობელობა! გაუმარჯოს სოციალური ეს იყო მთელი მოწოდება, რაც არც ისე უბრძლო საქმე იყო, მაგრამ იმდენად უშიშარი და რევოლუციური აგზების ადამიანი იყო, რომ ის ვერ ფარავდა იმას, რასაც ფიქრობდა, და უშიშრად ყვიროდა, რომ ეს მოწოდება სხვებსაც გაეგონათ.


ლადოს არ შეეძლო ძალადობისა და უსამართლობლის მოთმენა, ის თვითონ სწერდა ამის შესახებ თავის ძმას სანდროს: „მხოლოდ თავის განწირვით შეიძლება მოვიპოვოთ ჩვენს პირობებში ადამიანური დამოკიდებულება იმათვან, უისაც ხელში უჭირავს ჩვენი ბედის ნასკვი.—მოითმინეო... მოთმინება კარგია, ადამიანის ლირსებაა, მაგრამ იქ, სადაც კითხვა შეეხება ადამიანურ ლირსებას, უფლებას და გრძნობას, მოთმენა ან სილაპრეა, ან შეუგნებლობა“. ადამიანური ლირსების შელახვას ლადო ციხეშიაც ვერ ითმენდა, და აი პოლიციამაც ანგარიშის გასწორება გადაწყვიტა ლადოსთან საძაგელი საშუალებით.

1903 წ. 17 აგვისტოს დილით გუშაგმა დერგალევმა, მოსყიდულმა ჯალათმა, ლადოს ტყევია ესროლა ფანჯარაში და იქვე მოპკლა. ლადოს სიკვდილმა დიდი მოელვარება გამოიწვია მუშათა კლასში. უანდარმებმა ლადო ფარულად დაკრძალეს ლამით. ლადოს მოკვლის გამო ალაპარაკდა მთელი რევოლუციური საზოგადოებრივობა. ტფილისის და ბაქოს კომიტეტებმა გამოუშვეს პროკლამაციები, სადაც სასტიკად ამჟღავნებდნენ პოლიციის საზიზღრებას. ტფილისის კომიტეტის მოწოდებაში ლადოს შესახებ ეწერა: „მუხლს ვიყრით შენი ნეშტის წინაშე, ხალხის თავისუფლებისათვის უშიშარო მებრძოლო“.

ლ. კეცხოველი იყო მგზნებარე რევოლუციონერი, ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი, იგი ისე ახალგაზრდა და ისე აღრე მოპკლეს მეფის ჯალათებმა, რომ ის ვერ მოესწრო 1905 წ. რევოლუციურ აქარიშხლებას, რომლის ცეცხლს იგიც ანთებდა და თავისი მებრძოლი სულით და რომელსაც მოუთმენლად მოელოდა. იი ამიტომ ვისენიებთ ლადო კეცხოველს ასეთი დიდი პატივისცემით, ამიტომ ვინახავთ მის ხსოვნას.

რესელი ლიტერატურის კლასიკები

მ ჩ ე რ ი ნ ი



ნ. სალტიკოვი – შჩედრინი, რომელიც შჩედრინის სახელითაა უფრო ცნობილი, რუსული მდიდარი ლიტერატურის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

შჩედრინი დაიბადა 1826 წელს. ჯერ კიდევ 15 წლისამ გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაწარმოები. 1848 წელს მთავრობამ თავის საცხოვრებელ აღვილიდან ვიატკაში გადასახლა 7 წლით. მიზეზი? მთავრობის აზრით, ის მავნე შეხედულებები, მავნე იდეები ცო, რომლების გავრცელებასაც შჩედრინი ცდილობდა.

შჩედრინმა თავის შემოქმედებაში შესანიშნავად დასატა რუსი მებატონის საზიზდარი ბუნება, ყმებისადმი არაადამიანური მობყრობა, სახელმწიფო მოხელეების მექანიზმი, ქონების ფლანგვა, მთავრობის წარმომადგენლების სისასტიკე და სხვ. მისი ჰლაბრები დაუწინდობელ ლაპტრად ესობოდა ცარიზმს, მეფის მთავრობას, და სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი ყოფელმხრივ ხელს უშლიდა მათ გავრცელებას.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს ძალიან უყვარდა შჩედრინი, მისი ნაწარმოებები.

ჩვენი პარტიის დღი ბელას – სტალინსაც ხომ არაერთ ხელ მოუყვანია ადგილები შჩედრინის ნაწარმოებიდან თავის შესანიშნავ მოხსენებებში!

ქვემოთ ჩვენ ვაჲავსებთ შჩედრინის ზლიანი „ცეიზელი თვალი“ ამ ზლაპარში მშერალი საშინლად დასცინის მეფის სასამართლოს, მის პროკურორს, სენატს (უმაღლეს სასამართლო ორგანოს მეფის დროს).

რედაქცია

○ ◇ ○

შჩედრინი

ვ ხ ი ხ ი რ ი თ ვ ა რ ი

რომელილაც ქვეყანაში, რომელილაც სახელმწიფო ცხოვრობდა პროკურორი და ჰერიტელი. მას ორი თვალი: ერთი მძინარა, მეორე – ფხიზელი. მძინარა თვალით ის სრულიად ვერაფერს ვერ ხედავდა, ფხიზელი თვალით კი უბრალო რამეებს ამჩნევდა.

ამ სახელმწიფოში ძველთაგანვე ასე იყო შემოღებული: როგორც კი რომელიმე ობივატელს შეეძინებოდა ბიჭი, რომელსაც ორი თვალი ჰერიტელად მძინარა და ფხიზელი, მოხარკე მოსახლეობის აღწერის ფურცლებში მაშინვე ჩაწერდნენ: „ობივატელ კურალეს პროკაზინიკოვს, ბოლოტიში მცხოვრებს, შეეძინა ვაჲი, სახელი პროკურორი“. და მერე უცდიდნენ ბიჭუკელას დავაჲკაცებას.

აქაც ასე მოხდა. ბიჭუკელა ჯერ მიწას არ ასცილებოდა, რომ მას მოახსენეს:

– მობრძანდით!

– სიამოვნებით. მაგრამ მალე განთავისუფლდება სენატორის¹ ვაჲანია?

– ოხ, დაგვდეთ პატივი! როგორც კი გათავისუფლდება, მაშინვე.

– ჰო. ასე.

წელში გასწორდა ბიჭუკელა, სარკეში ჩაიხედა. ხედავს: ვინ თაღლითი იცქირება სარკიდან?

– ეს კი თითონაა. კარგი. მას ერთი ცუდი სიტ-

¹ სენატორი – უმაღლესი სასამართლოს ორგანოს, სენატის, წევრი.

ყვაც კი არ უთქვამს და მაშინვე საქმეს შეუდგა. მძინარა თვალით ვერაფერს ხედავს, ფხიზელით კი უბრალო რამეებს. „მე, — ამბობს, — აქ ერთი წუთით ვარ, სენატში მივდივარ, იქ კი ორივე თვალს დავხუჭავ, თუ ღერთმა ინება, იმ ღროისათვის დავკრუვდები კიდეც!“

დაინახეს მექრთამეებმა, ცილისმწამებლებმა, ავაზაკებმა, მტაცებლებმა და ქურდებმა, რომ ბიჭუკელა მათ ფხიზელი თვალით უმშერდა, და მაშინვე შეშინდნენ. იფიქრეს, იფიქრეს ამ საქმეს რა მოფეხერხოთო, და გადაწყვიტეს ფხიზელ მხარეს ყველანი გასცლოდნენ, თავი შეეფარებინათ პროკურორის მძინარა თვალის ქვეშ, — და ფხიზელი მხარე ისეთი სუფთა გახდა, თითქოს არც ბოროტმოქმედნი, არც ქურდები, არც სულწაწყმენდილები არასოდეს არ ყოფილიყვნენ, არამედ იყენენ და არიან მხოლოდ ჩვეულებრივი ცრუბენტელები, მაწანწალები, გამცემლები, მოღალატეები და თვალთმაქცი ღვთისხოსავნი, რომლებთანაც პროკურორს, რომ თქვას კაცმა, არც არაფერი ესაქმება. ბიჭუკელა კი ხედავს, რომ მისი მხოლოდ ფხიზელი თვალის გამოხდვის გამო ასეთი სუფთა ჰორიზონტები გაიშალა, და უხარისა. — ნუთუ, — ფიქრობს ის, — მთავრობა ჩემს გულმოლენების მხედველობაში არ მიიღებსო?

და გაბლინძულმა დაიწყო მან სიარული სასამართლო ადმინისტრაციის მინდონში. დადის და უსტვენს: მიფრთხილდით! ერთ კოვზ წყალში ჩაგახრიბდთ!

აი ხედავს: დგას კაცი და რაც ძალი და ღონე აქვს ყვირის:

„გამძარცვეს! მიშველეთ, ყარაული!“ რასაკვირველია, გაძარცულთან მივიდა.

— რა ამბავში ხარ, შე ასეთო და ისეთო, მთელ ჭუხის რომ იკლებ! მე შენ გაჩვენებ!

— გეთაყვა, პროკურორ კურალესიჩ, ქურდებია!

— სად არიან ქურდები? რომელი ქურდები? სტყუი: არავითარი ქურდები არც არიან და არც ყოფილან. ისინი კი ფხიზელი მხრიდან მისი ცხვირის ნესტოს ქვეშ მიიმარნენ, თქვენ განგებ გინდათ, უსაქმურებო, შეაწუხოთ უფროსები ისეთი რამეებით, არც ყურადღების ღირსი არაა... დააპატიმრეთ!

განაგრძობს სვლას, ესმის: „პროკურორ კურალესიჩ, შეგვპამეს მექრთამეებმა! მექრთამეებმა! მეანგარეებმა! კორიკანებმა! მრუშებმა! შეიძლოთ მეანგარეებმა!“

— სად არიან მექრთამეები? მეანგარეები? ვერავითარ მექრთამეებს ვერ ვხედავ! თქვე ასეთისეთებო! თქვენ განგებ ყვირით აე, რომ ავტორიტეტი შებდალოთ... დააპატიმრეთ!

კვლავ განაგრძობს სვლას, ესმის: „სახაზინო და საზოგადოებრივ ქონებას ცალცალკე იპარავენ. თქვენ რას უყურებთ, პროკურორ კურალესიჩ! აი ისინი, მტაცებლები, აი!“

— სად არიან მტაცებლები? ვინ იპარავს სახაზინო ქონებას?

— აი მტაცებლები! აი ისინი! აი მან რა სახლი წამოჭიმა მოპარული ფულით! აი იმან კი, უჰ, რამდენი ათასი ლეტინა მიწა მოპარა ხაზინას!

— სტყუი, შე ასეთ-ისეთო! ესენი მტაცებლები კი არ არიან, არამედ კერძო მესაკუთრეები! ისინი თავის ქონებას მშვიდად ფლობენ, ყველა საბუთიც აქვთ. თქვე უსაქმურებო, თქვენ განგებ ყვირით აე, რომ კერძო საკუთრების პრინციპი შებდალოთ! დააპატიმრეთ.

შემდეგ — კიდევ უარესი. „ცოლი ქმარს სიცოცხლეს უმწარებს დილიდან საღამომდის“. მარი ცოლს საცაა კუბოში ჩაწვენს“, „არაფერს თვალყურს არ აღევნებთ, პროკურორ კურალესიჩ!..“

— მე არ ვადევნებ თვალყურს? გინახავს თუ არა, როგორი თვალი მაქვა? თვალი ერთი მაქვას, მაგრამ — უჰ, რა შორს ვიხედები იშით! ისე შორს, უსაქმურო, რომ ისიც სავსებრო ვიცი, რა სულის პატრონიც ბრძანდები, ისიც ვიცი, რაც გნებავთ თქვენ, უმსგავსებს: ოჯახური კავშირის დარღვევა გინდათ. დააპატიმრეთ. — ერთი სიტყვით, ყველა კავშირი შემოიარა და ყველგან ნახა: თავისთავად კავშირები ურყევია, მაგრამ მყვირალები უეჭველად ჩაილულის წყალს დაალევინებენ, თუ თავის ღროზე მათ პირი არ აუკრეს. როდესაც სახელმწიფო კავშირამდე მივიდა ბიჭუკელა, ლაპარაჟიც არ ისურვა. ყვირის, როგორც ზეშთაგონებული; „შეიპარით! გაბაწრეთ! ციხეში ჩაგდეთ, ჩაალპეთ!“ თვითონ ყვირის, ფხიზელი თვალი კი ბორბალივით ბრუნავს თვალის ბუდეში.

თარგმანი შ. თანაეკაშვილისა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

წერტყმის სიტყვები

ბაბილონის გოდოლი—უთავბოლო,
არჩელი საქმი.

ბიბლიაში სწერია ზღაპარი, თითქოს ქილაქ ბა-
ზილონის მცხოვრები გაამაყდნენ და მოინდომეს
უამდის კოშკის აშენება, რომ ღმერთთან ასული-
ყვენენ. ღმერთი განრისხდა და შზენებლებს ენა აუ-
რია. როცა უფროსი იძახოდა მიწა მოიტანეთ—
ქვა მოჰქონდათ, წყალი მოიტანეთო—ხე მოჰქონ-
დათ, აქეთ მოდით—იქით მიდიოდნენ. და აირია
ყველაფერი. დაიბნენ ყველანი.

ლაპონური გამოთქმა—ეოპლედ,
სხარტულად აზრის გამოთქმა.

ქველი საბერძნეთის ერთი ოლქის, ლაკონიის,
მცხოვრებლებს მოკლედ უყვარდათ, ლაპარაკი აზრს
სხარტულად გამოთქვამდნენ. აქედან წარმოიშვა ლა-
კონიური გამოთქმა.

აკადემიური მსჯელობა—გაცემებული, პრატ-
ტიკას მოზრდებილი, უშედეგო მსჯელობა.

გამოთქმა წარმოიშვა ამნაირად: საბერძნეთში,
ათინას ახლოს, ვინმე აკადემუსს ბალი ჰქონდა.
ამ ბალს აკადემუსმა თავისი სახელი უწოდა. ბალში
სეირნობდა ცნობილი ფილოსოფოსი პლატონი და
თავის მოწაფეებთან დაუსრულებული საუბარი ჰქონ-
და განკუნებულ თემებზე. პლატონი ცხოვრობდა
IV საუკუნეში ჩვენს ერამდის.

შეადგინა როდიონ როჩიამ



რედაქციის ინსაზან

ჩვენი უურნალის მე-6 №-ის მე-2 გვ. მოთავსებული სუ-
რათი „ნესტან დარეჯანი წერილს წერს ტარიელს“ ეკუთვნის
მხატვრულად.


ამავე უურნალის გარეკანის მე-4 გვ. შოთას ქეგლის წარ-
წერის ბოლო სტრიქონი უნდა შესწორდეს... „იგი დაიდგმება
ობილისში შოთას დაბადებიდან 750 წლისთვის აღსანიშ-
ნავად“.

სამხედრო თავდაცვის ნაწილებში არსებობს სპე-

ციალური ხმაურობის დამჭერი ხელსაწყოები, რო-
მელთა საშუალებითავ ირკვევენ საიდან და სად მიფ-
რინავენ თვითმფრინავები. ასეთ ხელსაწყოებზე მუ-
შაობენ ისეთი აღამიანები, რომელთაც მახვილი სმე-
ნა აქვთ.

სმენის გასამახვილებლად ბავშვებისათვის კარგია
შემდეგი თამაში:

მოთამაშებიდან გამოიყოფა ე. წ. „ყურმახვილი“,
იგი დგება წრის ცენტრში (10 მეტრიანი დიამეტ-
რით.) ყურმახვილს გაკეთებული აქვს აირწინალი.
აირწინალის სათვალეებს გადაკრული აქვს შავი ქა-
ლალდი. დანარჩენი მოთამაშენი დგანან წრის საზღ-
არზე და თამაშის ხელმძღვანელის მიერ მიცემულ
ნიშნის შემდეგ რიგრიგობით ებარებიან ყურმახვილს,
ცდილობენ რაც შეიძლება ახლოს მიეიღნენ მასთან
და დარეკონ მის გვერდით ჩამოკიდებული ზარი.
ყურმახვილმა, როგორც კი გაიგებს მზევრავის ხმაურს,
მაშინვე ხელით უნდა უჩენოს მიმართულება იქით,
საიდანაც ხმაური შემოსმა და უნდა შესძინოს: „შეს-
დექ“. თუ იგი სწორად მიუთითებს მიმართულებას
მაშინ მზევრავი თამაშიდან გამოდის, ყურმახვილს
კი ეწერება პლიუს ერთი ქულა, აუ შესცდა—მინუს
ერთი ქულა. ყურმახვილი 10-15 წუთის განმავლო-
ბაში დგას ცენტრში და თუ ამ დროის განმავლო-
ბაში ვერცერთი მზევრავი ვერ შესძლებს მასთან
ახლოს მისვლას და ზარის დარეკვას, მაშინ ყურმახ-
ვილი გამარჯვებულად ითვლება, თუ ამ დროის
განმავლობაში რომელიმე შესძლებს ზარის დარეკ-
ვას, ყურმახვილი მოკლულად ითვლება.



პასუხისმგებელი რედაქტორი დ. გველიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ელ. აგლაძე

უურნალი გაფორმებულია მხატვრების ა. ქოქიაშვილის

და ვ. ჯაფოშვილის მიერ

◊ ყუმბარის ჩაქრობა ◊

თითოეული მოთამაშესათვის საჭიროა აირწინალი და 5-5-თი ტომარა ქვიშით სავსე (ზომით 20×30 სანტიმეტრი). მიწაზე უნდა შემოიხაზოს წრე 30 სანტიმეტრიან დიამეტრით, ეს იქნება აფეთქებული ყუმბარა. ამ წრილან 6 მეტრის მოშორებით უნდა გაავლოთ სასტარტო ხაზი... ასეთი წრეები და ხაზები უნდა გაკეთდეს იმდენი, რამდენიც მოთამაშე იქნება.

თითოეული მოთამაშე აირწინალით დგას სასტარტო ხაზზე და გვერდით უწყვეთი ხუთი ტომარა.

ბრძანების გაცემის დროს—„გაზი“! მოთამაშეები გაიკეთებენ აირწინალებს და სასტარტო ხაზიდან დაუძვრელად იწყებენ ტომრების სროლას წრეში იმ მიზნით, რომ ეს წრეები მთლიანად დაფარონ ტომრებით.

მოიგებს ის, ვინც ტომრების ნაკლები რიცხვით და ყველაზე ადრე შესძლებს დაფაროს წრე. აირწინალები შეიძლება ბევრი ვერ იშოვოთ, მაშინ შეიძლება ორ-ორი შეეჯიბროთ ერთმანეთს, მხოლოდ ყოველი წყების შეცვლისას აირწინალები უნდა დეზინფექცირებულ იქნას სპირტით.

